

**თიბისი ბანკში აგვისტოს ომში დანერგული სოფლების
შპანასკნელი ფოტოები გამომიწინება**

პრესრელიზი

თბილისი, 22 მაისი, 2009წ. დღეს თიბისი გალერეაში გაიმართება ანკა ნიჟარაძის, გოგა დევდარიანის, სამონაზენე რებეკას (ხოსიტაშვილი) და ნანა დოლიძის ფოტოგამოფენა. ასევე ალბომის „სამაჩაბლო“ პრეზენტაცია.

გამოფენის ორგანიზატორები არიან თიბისი ბანკი და ფოკის, წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 2007 წლის შემოდგომასა და 2008 წლის გაზაფხულზე გადაღებული ფოტოები, რომლებზეც დიდი და პატარა ღიახვის ხეობის სოფლების: ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, ხეთი, ძარწემი, კეხვი, ქემერთი და სხვა, რეალური ცხოვრებაა აღბეჭდილი.

აგვისტოს ომის დროს, ამ სოფლების უმეტესობა მთლიანად განადგურდა და დღემდე რუსი სამხედროების მიერ არის ოკუპირებული... ამრიგად, თიბისი გალერეაში წარმოდგენილი უნიკალური ფოტომასალა, დღეს უკვე ამ ადგილების ამსახველ მემატიანეს წარმოადგენს.

ღონისძიებას დაესწრებიან მისი უწმინდესობა, **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II** და ქართული სამღვდელთა საეპისკოპოსოს წარმომადგენლები.

- ◆ ფიზიკური ჰირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ თიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba3

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი, ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია და ქართველი კერძო პირები.